

ფორმებთან და სახელწმინასთან. მაგ.: ყურადღებას გაამახვილებს (შეაჩერებს, გადაიტანს), გაამახვილა (შეაჩერა, გადაიტანა) გაუმახვილებია (შეუჩერებია, გადაუტანია) საკითხზე; ყურადღების გამახვილება (შეჩერება, გადატანა) საკითხზე.

შ

შეასრულებს ზმნის მნიშვნელობაა: გააკეთებს, განახორციელებს,... დაამთავრებს, დაასრულებს: „ჩვენთვის რაც უბრძანებია, **იმას ვასრულებთ**“ (ვაჟა); „კოლმეურნეობებმა თესვის გეგმა 100,2 პროცენტით **შეასრულეს**“ („კომ.“)...

ზოგჯერ ზმნა **შეასრულებს** გარკვეულ სიტყვებთან მყარ — ხშირად ტერმინოლოგიური ხასიათის — გამოთქმებს ქმნის: **დანიშნულებას ასრულებს, სამუშაოებს ასრულებს... იღეთს** (ნახტომს, პას...) **ასრულებს** და მისთ. მაგალითად: „რა **დანიშნულებას ასრულებს** სახელმწიფო („ისგ სკოლაში“); „...შეიძლება **შევასრულოთ** ვაზომვითი **სამუშაოები** მაქსიმალური სიზუსტით“ („ისგ სკოლაში“)... მაგრამ ტერმინოლოგიური დანიშნულებითაც **შეასრულებს** ზმნის წმარება ყოველთვის გამართლებული არ არის და მის ნაცვლად ზოგჯერ აჯობებდა მისი სინონიმური **განახორციელებს** ზმნის გამოყენება. მაგ.: „ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლებს ჯერ არ ახსოვთ ისეთი შორეული **გაფრენა**, როგორც ვღრ-ის სპორტსმენმა დ. ნოიენდორფმა **შეასრულა** [უმჯობესია: განახორციელა]“ („ლელო“); „მანაც წარმატებით **შეასრულა დაშვება**“ („კომ.“); „მოთხილამურეებმა პირველი კვალი გაიყვანეს ფიფქ თოვლში. **შეასრულეს** წარმატა ცი **გადასვლები**. სწრაფი დაშვებანი კონტაგორიდან“ („კომ.“); „მათზე შეიძლება **ვაზომვებით** **შევასრულოთ**“ („ისგ სკოლაში“)...

ზმნა **შეასრულებს** რიგ შემთხვევაში გამოყენებულია სემანტიკურად მისთვის შეუფერებელ სხვა სახელებთანაც, რაც გვაძლევს სტილისტიკური თვალსაზრისით გაუმართავ შესიტყვებებს. ასეთებია შემდეგ წინადადებებში: „მტაცებლები ბუნებაში **ასრულებენ** თავისებურ სანიტარულ **სამსახურს** [უნდა იყოს: **ასრულებენ**... **სამუშაოს**, ან: **ბუნებას უწევენ**... **სამსახურს**]“ („ახ. კომ.“). შდრ.: „შესანიშნავ **სამსახურს** **გაგიწევთ**. მხატვრული ფოტოალბომი „სვანეთის ცის ქვეშ“ („სამშ.“). „ჩაის პლანტაციების საზამთრო **დამუშავება** მაღალხარისხოვნად **შეასრულეს** [უნდა იყოს: **პლანტაციები საზამთროდ მაღალხარისხოვნად დაამუშავეს**] ცხაკაიას რაიონის... კოლმეურნეობებმა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „1974 წლის პირველ კვარტალში გეგმით უნდა **შეასრულებინა** [უნდა იყოს: **გამოეშვა**, **დაემზადებინა**, **შექმნა**] 700

ათასი მანეთი პროდუქცია“ („საქ. ბუნ.“); შდრ.: „გამოფუშვით მსო-
ლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია“ („კომ.“). „კლასს დიევილა გე-
ოგრაფიის რვეულებში შეესრულებინა ნახატი ტბის განვითარების პე-
რიოდებზე [უნდა იყოს: ჩაეხატა ტბის განვითარების პერიოდები]“
 („ისგ სკოლაში“); „მომავალში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით შეს-
რულდება მუშაობა [უნდა იყოს: იმუშაებენ] ახალი ტექნიკისა და
ტექნოლოგიის დასაწარმოებლად“ („კომ.“); „გადაჭარბებით არის შესრუ-
ლებული... მანქანა-იარაღების და ავტომანქანების შეკეთება [თუ რაო-
დენობაზეა საუბარი, უნდა იყოს: განსაზღვრულზე მეტი რაოდენობის
მანქანა-იარაღები და ავტომანქანები შეაკეთეს, ხოლო თუ დროზე —
მანქანა-იარაღები და ავტომანქანები ვადაზე ადრე შეაკეთეს]“
 („სოფლ. ცხოვრ.“); „საქართველოს სატყეო მეურნეობამ... უფრო
მეტი მაღალი მაჩვენებლებით შეასრულოს სახელმწიფო გეგმით დად-
გენილი სარგებლობა“ (საქ. ბუნ.“). ბოლო წინადადება ამ სახით საერ-
თოდ უაზრობაა. ალბათ, უნდა ყოფილიყო: „საქართველოს სატყეო
მეურნეობამ... უფრო მაღალი მაჩვენებლებით შეასრულოს გეგმა და
სახელმწიფოს მოუტანოს სარგებლობა“.

შეპირდი, მოსწავლე და მოწაფე ზოგჯერ ერთი და იმავე მნი-
შვნელობით იხმარება. სალიტერატურო ენაში მათი გამოყენების შე-
სახებ იხ. მოსწავლე — მოწაფე — შეგირდი.

შედევად — გამომ. ორივე ეს ცალკე მდგომი თანდებული ნათე-
საობით ბრუნვასთან იხმარება. მნიშვნელობა მათ განსხვავებული აქვთ:
გამომ მიზეზზე მიუთითებს, მიზეზს აღნიშნავს, ე. ი. იხმარება ისეთ
შემთხვევაში, როდესაც საუბარი ეხება უარყოფით მოქმედებას ან
მდგომარეობას, რომლის მიზეზი ნათესაობით ბრუნვაში დასმული სა-
ხელითაა გადმოცემული. **გამომ** თანდებულს შეიძლება შეენაცვლოს
ზოგიერთი ზმნისართი ან კავშირი: **მიზეზით, მიზეზისათვის, იმიტომ,**
რომ, ვინაიდან, რადგან. მაგ.: წინადადება — „ავადმყოფობის გამო-
ვერ გამოცხადდა“ — ნიშნავს: ვერ გამოცხადდა იმიტომ, რომ (ვინაი-
დან, რადგანაც) ავად იყო. „სროლა სიბნელის გამო არ შეიძლებოდა“
(ლ. ქიჩი.). — სროლა არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ (ან: რადგან, ეი-
ნაიდან) სიბნელე იყო „სიშორის გამო არ შესმოდა, რას ამბობდნენ“
(ვაჟა). — არ შესმოდა იმიტომ, რომ (რადგანაც) შორი იყო.

შედევად სულ სხვა დანიშნულების მქონე თანდებულია. იგი იხ-
მარება ისეთ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია დადებით მოქმედებაზე ან
მოკლენაზე, შედეგზე, რომლის პირობაც ნათესაობით ბრუნვაში დას-
მული სახელითაა გადმოცემული. **შედევად** თანდებულის ნაცვლად
შეიძლება იხმარებოდეს **წყალობით** ან **მეშვეობით**. მაგ.: წინადადება
„დიდი შრომის შედეგად მიზანს მიაღწია“ — ნიშნავს: მიზნის მიღწევა-

არის შედეგი დიდი შრომისა, ან: დიდი შრომა იყო პირობა მიზნის მი-
საღწევად. ასევე: „მიღებული დადგენილების შედეგად მდგომარეობა
გამოსწორებულია“ („ახ. კომ.“); „სოცშეჯიბრების გაშლის შედეგად
ბოლნისის მტს-ის კოლექტივმა წარმატებით შესრულა გეგმა“
 („კომ.“); „წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად მოპოვე-
ბულმა წარმატებებმა გლესობა... დაარწმუნა...“ („კომ.“).

მიუხედავად სტილისტიკურ ფუნქციითა ასეთი გამოცენისა, ზოგ-
ჯერ ეს თანდებულები მაინც ირევა. მაგ.: „მოუვლედლობის შედეგად
[უნდა იყოს: გამო] ვენახის ზოგიერთი ფართობი გახმობამდეა მისუ-
ლი“ („კომ.“ დროშა“).

შედეგად და **გამო** თანდებულთა ერთი და იმავე მნიშვნელობით
გამოყენების შემთხვევები XIX საუკუნის სალიტერატურო ენაშიც
შეინიშნება „[პეტრე პირველმა] შემოიღო მრავალნი ცვლილებანი,
რის გამო [უნდა იყოს: შედეგად] რუსეთი შეიქმნა ერთს უძლიერეს
სახელმწიფოდ“ (ი. გოგებ.); „ხანგრძლივი მშვიდობიანობის გამო
[აჭობებდა: შედეგად, წყალობით] ჩვენი სამშობლო აივსო მცხოვრებ-
ლებით“ (ი. გოგებ.); „კეთილის ცხოვრებისა და გარჯილობის გამო
[ჯობს: შედეგად, წყალობით] აქაურნი მცხოვრებნი ჯანმრთელნი,
ძარღვიანნი და ამტანნი არიან“ (ი. გოგებ.)...

შეიპიძება (შევიდება) ზმნასთან გარკვეულ სახელთა სემანტი-
კური დაკავშირების კანონზომიერებისათვის იხ. **ჭიდილი**.

შეიქნება — **შეიქმნება**. მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის
პირველი ნახევრის ქართულ სალიტერატურო ენაში ბევრობრივად
მსგავსი ზმნები **შეიქნა** და **შეიქმნა** მკაცრად გამიჯნული არ ყოფილა.
ხოლო თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ქვე-
მოთ მოყვანილ მაგალითებში უნდა იყოს **შეიქნა**, **შეიქნებოდა**: „რაწამს
ელგუჯა ცოტა უკეთ **შეიქმნებოდა**, მზალს მოიტაცებდნენ“ (ა. ყაზბ.);
„[ისინი] მრავალგვარად საჭირო **შეიქმნენ** ქართველებისათვის“
(აკაკი); „ბოლოსა და ბოლოს საქართველო იძულებული **შეიქმნა** მოე-
ძებნა სადმე ერთმორწმუნე მომხრეც, მაგრამ სადა და როგორ“ (აკაკი);
„რამდენიმე წლის შემდეგ ამავე ხრიკებისა და ოსტატობის მსხვერ-
პლი **შეიქმნა**“ (დ. კლდ.); „რა უნდა **ექმნათ** ძლიერ ეგზარხოვისათვის“
(დ. კლდ.)...

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ამ ორი ზმნის მნიშვნე-
ლობა და გამოყენების არე მკვეთრადაა გამიჯნული. სახელდობრ, **შეი-
ქმნება** ნიშნავს: გაჩნდება, დაარსდება, ჩამოყალიბდება, წარმოიშეება,
მოეწყობა, გაკეთდება, მაგ.: „გვაროვნული წყობილების მაგიერ... სამ-
ხედრო ორგანიზაცია **შეიქმნა**“ (ივ. ჯავახ.); „მილიციაში ისეთი აზრი
შეიქმნა, რომ განცხადების შემტანს ბინის გაფართოება უნდა“

(პ. ამირეჯ.); „ჩვენი ვარაუდით აქ წმინდა შემოქმედებითი ატმოსფერო შეიქმნა“ (ს. კლდ.).

შეიქნება კი შედგენილ შემასმენელში დამხმარე ზმნის ფუნქციის ასრულებს და ნიშნავს: გახდება, გადაიქცევა, გაიმართება, ატყდება, იქნება: „მე სრულიად თანახმა შევიქვნი თქვენი ბრძანებისა“ (ილია); „გიორგი მოულოდნელად შეიქნა ავად“ (ვ. ბარნ.); „მალე დედაც შეიქვნი, ხუთი აკენის მარწებელი“ (გ. ლეონ.); „შეიქნა ქალების გაბმული კივილი“ (კ. გამს.); „დუქნების წინ ერთი ხრიალი და მიხლამოხლა შეიქნა“ (გ. წერეთ.); „ერთად-ერთი ფულის მოსავები კუთხე ფოთი შეიქნა“ (გ. წერეთ.).

თუმცა ამჟამად ეს ორი ზმნა სემანტიკურად ასე მკვეთრადაა გამოიჯნული, მაინც ხშირია მათი აღრევის შემთხვევები, მაგრამ აღრევა ცალმხრივია: (შე)იქმნა იხმარება (შე)იქნა-ს ნაცვლად. მაგრამ არა პირუკუ. მაგ.: „უცებ თითქოს ყველაფერი ნათელი შეიქმნა [სწორია: შეიქნა] ჩემთვის“ („ლიტ. საქ.“); „ყოველივე ეს უჩემოდ იქმნა [სწორია: იქნა] მოწყობილი [აჯობებდა: მოაწყვეს]“ (დ. შენგ.); „1701 წ. თურქებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტია. ეს უკანასკნელი იძულებული შეიქმნა [სწორია: შეიქნა] თავისი აღმოსავლეთის სამფლობელოები მათთვის დაეთმო“ (შ. მესხ., ვ. გუჩ.); „ამ ნიადაგზე მათ შორის შეიქმნა [სწორია: შეიქნა] შეხლა-შემოხლა“ („ქართ. ლიტ.“, IX); „მეტი შესაძლებლობა შეიქმნა [სწორია: შეიქნა] კულტურულ წამოწყებათა განსახორციელებლად“ („ქართ. ლიტ.“, IX); „ისეთი მგლური მისწრაფებები შეიქმნა [სწორია: შეიქნა] საჭირო ჩარჩ-ვაჭრებისათვის“ („ქართ. ლიტ.“, IX); „სკოლამ ეს რომ გაიგო, შეიქმნა [სწორია: შეიქნა] ერთი ძიება, ვინ და რატომ გაბედა სკოლის გაკრიტიკება“ („თბილ.“)...

ასე რომ, შეიქნა და შეიქმნა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სემანტიკურად სრულიად განსხვავებული ზმნებია და მათი აღრევა დაუშვებელია.

შეპირობებაული. იხ. განაპირობებს.

შესახებ / თაობაზე სინონიმური თანდებულების გამოყენება თანამედროვე ქართულში შეპირობებულისა მათი სპეციფიკური სემანტიკური ნიუანსებით. იხ. თაობაზე / შესახებ.

შესწირავს თავს, სიცოცხლეს. ზმნა შესწირავს ნიშნავს: ამსხვერპლებს, მსხვერპლად გაიღებს, ანაცვალავს, შეეწირება. ამ მნიშვნელობით შესწირავს ზმნა თანამედროვე ქართულში ქმნის საკმაოდ გავრცელებულ იდიომურ გამოთქმებს: თავს შესწირავს, სიცოცხლეს შესწირავს (ვინმეს ან რამეს). მაგ.: „უფიქრლად თავს შესწირავს დედა, თავის შვილს ენაცვლება“ (აკაკი); „დავნატრით მას, ვინც თვისი

სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად“ (გ. ორბ.); „ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი.“ (გ. ტაბ.); „დიდ სამამულო ომში სამშობლოს შესწირეს თავიანთი ახალგაზრდული სიცოცხლე... მოლითისა და დაბა ორჯონიკიძის საშუალო სკოლის დირექტორებმა“ („კომ.“)...

ამ მყარი გამოთქმების სემანტიკა, ჩანს, ბოლომდე არ არის გააზრებული, რის გამოც ზოგჯერ მათ წინადადებაში შეუფერებელ სახელს უკავშირებენ, მაგალითად: „89 მეომარმა თავი შესწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას“ („განთ.“, ვანი); „მან ბრძოლას შესწირა სიცოცხლე“ („კომ.“).

შესიტყვება თავი (სიცოცხლე) შესწირა ბრძოლას აზრობრივად გაუმართლებელია. თავს, სიცოცხლეს სწირავენ სამშობლოს, მამულს, თავისუფლებას... და არა ბრძოლას. ამიტომ ზემოთ მოყვანილი წინადადებები ასე უნდა გასწორდეს: 89 მეომარმა ბრძოლაში თავი შესწირა სამშობლოს თავისუფლებას და მან წინასწარ (რევოლუციას, თავისუფლებას...) შესწირა სიცოცხლე. შეცდომის წყარო ის უნდა იყოს, რომ ჩვეულებრივ, თავს, სიცოცხლეს სწირავენ რამეს სწორედ ბრძოლაში, ბრძოლის დროს.

შთაგონებული. შთამაგონებელი და შთაგონებული შთაგონებს ზმნის შესაბამისი მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღებობია. შესიტყვებებში მათი თავისუფალი მონაცვლეობა ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი. გამოთქმები შთამაგონებელი ლექსი, მუსიკა, იდეა, აზრი... და შთაგონებული ლექსი, მუსიკა, იდეა, აზრი... განსხვავებული შინაარსის შემცველია. სახელდობრ, თუ ლექსი, მუსიკა... სხვას შთაგონებს რაიმეს, ბუნებრივი შესიტყვებები იქნება შთამაგონებელი ლექსი, შთამაგონებელი მუსიკა..., ხოლო თუ რაიმე შთაგონებს ხელოვანს (ვინმეს) ლექსის, მუსიკის შექმნას, მაშინ შესაფერისი გამოთქმები იქნება: შთაგონებული ლექსი, შთაგონებული მუსიკა, იდეა, აზრი...

ზოგჯერ ეს სემანტიკური სხვაობა გათვალისწინებული არ არის და ამ შესიტყვებებს თავისუფლად უნაცვლებენ ერთიმეორეს: „ხალხმა აიტაცა პოეტის შთაგონებული [უნდა იყოს: შთამაგონებელი] სიტყვები, ფრონტისა და ზურგის მებრძოლებმა ეს ლექსი ზეპირად დაისწავლეს“ („ქართ. ლიტ.“); „პოეტმა შთაგონებული [უნდა იყოს: შთამაგონებელი] ჰიმნი მიუძღვნა საბჭოთა რუსეთს“ („ქართ. ლიტ.“); „ამ უწმინდესი გრძნობის შთაგონებულ [უნდა იყოს: შთამაგონებელ] საგალობელს წარმოადგენს მისი ლირიკული ციკლები „სომხეთში“ და „ყაზახეთის ველზე“ („ქართ. ლიტ.“); „მისი ლექსალური (!) ნიმუშები — დახვეწილი, შთაგონებული [უნდა იყოს: შთამაგონებელი]... —

აფართოვებენ თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის თვალსა-
წიერს“ („კომ.“).

-ში/-ში თანდებულთა ურთიერთმიმართების შესახებ იხ. **-ზე/-ში**.

შინ ზმნისართი ქართულში აღნიშნავს: 1. „სახლს შიგან“ (საბა),
სახლში, თავისთან („შინ დაბარებული გარეთ არ გამოდგებოა“, —
ანდ.). ამ მნიშვნელობით ბუნებრივი შესიტყვებებია: შინ დაგელოდე-
ბი, შინ არ დამიხვდა, შინ შემოდი და მისთ. ხშირად **შინ** ზმნისართის
ნაცვლად იხმარება **ბინაში** (||**ბინაზე**) — **სახლში** — **შინ** (იხ.).

უკანასკნელ ხანს მოხშირდა **შინ** ზმნისართის გამოყენება, გარდა
ამ ძირითადი მნიშვნელობისა, ასეთი შინაარსითაც: **თავისთან, თავის**
რესპუბლიკაში, თავის მოედანზე და მისთ., რაც რუსული ყ დნჟ-ს
კალკია. მაგ.: „რა უშლით ხელს, თუ **შინ** [უნდა იყოს: ჩვენს რესპუბ-
ლიკაში] არ გვეშოვება, სხვა რესპუბლიკებიდან შემოიტანონ [კაკა-
ლი]“ („საქ. ქალი“); „მას შემდეგ, რაც თბილისელებმა ასე თუ ისე
შეასრულეს დასახული ამოცანა 21 მარტს ლვოვში, **შინ** [უნდა იყოს:
საკუთარ მოედანზე] საჭირო იყო საპასუხო მატჩის მოგება ერთი
ბურთის განსხვავებით“ („ლელო“); „**შინ** [უნდა იყოს: საკუთარ მო-
ედანზე] 4 ქულითაც რომ მოიგონ შეხვედრა, რუმინელები ითამაშე-
ბენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში“ („ლელო“); „საინტერესოა, რომ
მისი „პობი“ ნადირობაა და **შინ**, ტაიგაში [უნდა იყოს: მშობლიურ
ადგილებში, ტაიგაში] დათვზე სანადიროდ მარტო დადის“ („ლელო“)
და სხვ. ყველა დასახელებულ შემთხვევაში **შინ** ზმნისართი უადგილოდ
უხმარიათ გაფართოებული მნიშვნელობით. მის მაგივრად საჭიროა
სხვა, კონტექსტისთვის შესაფერისი სიტყვები (თავის რესპუბლიკაში,
თავის მოედანზე, საკუთარ მოედანზე, სამშობლოში და ა. შ.).

შინ თანამედროვე ქართულში საკმაოდ ვიწრო მნიშვნელობის მქო-
ნე სიტყვაა და სემანტიკის ამგვარ გაფართოებას ვერ იღუებს.

შუაგული იგივეა, რაც **შუა**, რისამე ნაპირებიდან თანაბარი მან-
ძილით დაშორებული, ან: დასაწყისიდან და დასასრულიდან თანაბარი
დროით დაშორებული. სხვაობა მაინც არის მათ შორის:

1. **შუაგული** უფრო ხშირად არსებითი სახელის ფუნქციით გამო-
დის წინადადებაში, **შუა კი** — ზედსართავი სახელისა. შდრ. მაგალი-
თად: ტყის შუაგული და შუა ტყე; მთის შუაგული და შუა მთა (შდრ.
ტოპ. **შუამთა**); ხევის შუაგული და შუა ხევი (შდრ. ტოპ. **შუახევი**);
ცეცხლის (კოცონის) შუაგული და შუაცეცხლი (ეთნ. ტერმ.)... მაგა-
ლითად: „ზედაზენის ძირში, მთების **შუაგულში**, ჩამჯდარა მცხეთა“
(ს. კლდ.); „მის უკან... ხშირი ტყეა..., რომელსაც **შუაგულს** გზა უღრ-
ღნის“ (შ. არაგვ.); „დაგინახავთ თვალწარმტაცი ალაზნის ველი,
რომლის **შუაგულში** ზღაპრული ყვავილივით აღერებულა თეთრი ალა-

ვერდი?“ (ს. კლდ.); „რამდენი თამადა მინახავს, რომ ღრეობის შუაგულში [= შუა ლხინში] სუფრას აშლის“ (გ. ლეონ.).

მაგრამ ეს „წონასწორობა“ ხშირად ირღვევა, განსაკუთრებით, ღრის აღმნიშვნელ სახელებთან: თანაბრად შეიძლება შეგვეხვედეს ზამთრის შუაგული და შუაგული ზამთარი (შუა ზამთარი); ზაფხულის შუაგული და შუაგული ზაფხული (შუა ზაფხული). ასევე: მორევის შუაგული და შუაგული მორევი მაგალითად: „14 იანვარს, შუაგულ ზამთარში, მტკვარში რომელი ოხერი ჩავიდოდა... მოსანათლავად“ (ს. მგალობ); „...ახლა აქაც აღარ დაგვედგომება, შიგ შუაგულ მორევში ვართ და ნაპირზე უნდა გავიდეთ“ (მ. ჯავახ.); ან კიდევ: „შუაგულ ახპარეზზე გამოვიდა ლიბარიტ ორბელიანი და მალლა აისროლა ბურთი“ (კ. გამს.); „პირბადრი მთვარე შუაგულ კამარიდან დაჰყურებდა მიძინებულ არემარეს“ (გ. ურჯუმ.); „საარაყოში დიდი შუაგული ცეცხლი [აჯობებდა: შუა ცეცხლი] იყო გაჩაღებული“ (გ. წერეთ.); „მოსკოველები, დედაქალაქში ჩამოსული უცხოელი სტუმრები ინტერესით, მოწიწებით ჩერდებოდნენ შუაგულ მოსკოვში, ტაშინსკის მოედანზე აღმართულ კომპოზიციასთან“ („კომ.“).

2. შუაგული უფრო ბუნებრივ გამოთქმებს ქმნის დიდი სივრცის ან ღრის ვრცელი მონაკვეთის აღმნიშვნელ სახელებთან. მაგალითად: გვაქვს შუადღე ან შუალამე, მაგრამ არა გვაქვს დღის შუაგული ან ღამის შუაგული! არაბუნებრივი შესიტყვებაა შუაგული დღეც: „ისინი შუაგულ დღეს [უნდა იყოს: შუადღისას, ან: გახურებული/გაცხობველებული მუშაობის დროს]... ღვინით სავსე ჭიქებით ძმობას ეფიცებოდნენ ერთმანეთს“ („თბილ.“). ასევე, ბუნებრივია შუა ოთახი ან შუა დარბაზი და არა — დარბაზის (ან ოთახის) შუაგული. მაგ.: „საზეიმოდ მორთული დარბაზის შუაგულში [უმჯობესია: შუა დარბაზში] ათასფრად აბრდღვიალებული ნაძვისხე ტრიალებს“ („თბილ.“); „ოთახის შუაგულში [უმჯობესია: შუა ოთახში] ნაცარი და კეცის ნატენები ეყარა“ (ფრ. ხალვ.). ზოგ შემთხვევაში მინც შუაგულის ხმარებას მანერულობის, სტილიზაციის „ბეჭედი აზის“. მაგალითად: „ქალაქ სან-პაულიდან სამმა სხვადასხვა მარკის მანქანამ ბრაზილიის შუაგული რაიონებისაკენ [უნდა იყოს: შიდა/შუა რაიონებისაკენ ან — ბრაზილიის შუაგულისაკენ] აიღეს (!) სტარტი“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ტურნირი თავის შუა გულს ჯერ არ მიახლოებია, მაგრამ უკვე შეიძლება მსჯელობა იმ მონაწილეებზე, რომლებიც საპრიზო ადგილებისათვის იბრძოლებენ“ („კომ.“). [უმჯობესია: ტურნირის დასასრული (ფინალი) ჯერ შორსაა... ან—ტურნირის ჯერ შუამდეც არ მიულწევია; ან—ტურნირის ჯერ არ მიულწევია გადაამწყვეტ ეტაპამდე].

უკანასკნელ ხანს გავრცელდა გამოთქმა ხუთწლედის **შუაგული წელი**. მაგალითად: „...მოწინავე კოლექტივმა... ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის **შუაგული წლის** ღირსეული დამთავრებისათვის...“ („კომ.“); „შარშან, ხუთწლედის მესამე — **შუაგულ წელს** — მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება...“ („კომ.“); „აპარის მშრომელებმა... წარმატებით დაამთავრეს ხუთწლედის **შუაგული წელი** ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით [უმჯობესია: ხუთწლედის შუა წელი, ან — თუ ხაზი უნდა გავუსვათ ამ წლის მნიშვნელობას — ხუთწლედის გადამწყვეტი წელი]“ („კომ.“).

3. **შუაგული** იხმარება ფიგურალური მნიშვნელობითაც. ასეთია გამოთქმა **ცხოვრების შუაგული**: „ვისაც სურს **ცხოვრების შუაგულში** ტრიალი, მისი გულის ძგერის უშუალო შეგრძნება, ის გვერდში უნდა ამოუდგეს ახალგაზრდობას“ („ცისკ.“); „მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწერალი არ იყოს ვალდებული, ყოველდღიურად იდგეს თავისი ხალხის **ცხოვრების შუაგულში**“ („ლიტ. საქ.“); „ი. იმედაშვილი ყოველთვის მტკიცედ იდგა თავისი ეპოქის პოლიტიკური და ლიტერატურული **ცხოვრების შუაგულში**“ („დროშა“). აღნიშნული გამოთქმის ანალოგიითაა გაჩენილი ვაუმართავი შესიტყვება **მუშაობის შუაგული**. მაგ.: „სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობისას იგი ყოველთვის **მუშაობის შუაგულში** იყო...“ („კომ.“) [უმჯობესია: ამ ღონისძიებათა (ან მოვლენათა) სული და გული იყო].

ჩ

ჩაბატარებს ზმნა უმართებულო შესიტყვებებს ქმნის იმ შემთხვევებში, როდესაც მასთან დაკავშირებულია საწყისი ან შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომი აბსტრაქტული სახელი. იხ. **ატარებს** — 3.

ჩამკიონატი ფეხბურთში. სპორტული პრესის ენაში ყურადღებას იქცევს ერთი ჯგუფი შესიტყვებებისა, რომლებიც სპორტის სახეობებისა და სპორტული ღონისძიების აღმნიშვნელი სახელებისაგან შედგება. სპორტის სახეობის აღმნიშვნელი სახელი, ჩვეულებრივ, თანდებულიანია. საკითხი ეხება ისეთ შესიტყვებებს, როგორიცაა **ჩემპიონატი ფეხბურთში** (კალათბურთში, ჩოგბურთში, ქადრაკში...) **ტურნირი ხუთჭიღში** (კრივში, ჭიდაობაში, ძიუდოში...), **შეჯიბრება ცურვაში** (ფარიკაობაში...), **პირველობა ტანვარჯიშში** (ქოკით ხტომაში...) და მისთ.

ამ შესიტყვებათა შემცველი წინადადებები მეტწილად ზედმეტად დატვირთულია ინფორმაციით. ხშირად მკითხველს ერთდროულად